# საქართველოს პრეზიდენტის
# ბრძანებულება №441
# 2012 წლის 31 მაისი ქ. თბილისი

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – „საქართველოს“ (MCA – Georgia) შექმნის შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტთან დაკავშირებული პროცედურების წარმოების მიზნით შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – „საქართველო“ (MCA – Georgia).

2. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – „საქართველოს“ (MCA – Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, საბჭოს ხმის უფლების მქონე პირთა შემადგენლობის განსაზღვრა და დებულების დამტკიცება.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – „საქართველოს“ (MCA – Georgia) სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – „საქართველოსათვის“ (MCA – Georgia) შესაბამისი ქონების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*მიხეილ სააკაშვილი*